საკრებულოს იურიდიულ
საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმიN 13

ქ.თერჯოლა
ან. ჭანტურიძის ქ. №7

31ოქტომბერი 2023 წ

სხდომას უძღვებოდა: იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ბიძინა ბუცხრიკიძე.**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1.ბიძინა ბუცხრიკიძე, 2. ომარი ჯიხვაშვილი, 3. კობა კაცაძე, 4.ჯემალი ისაკაძე, 5. ეკა ბერძენიშვილი, 6.იზა მაგრაქველიძე; 7. ნატალია ასათიანი;

სხდომას არ ესწრებოდა: გიორგი ბარათაშვილი; ნინო ჩხიკვაძე, დავით ცხადაძე; რუსუდან კოვძირიძე;

სხდომას ასევე ესწრებოდა: საკრებულოს აპარატის უფროსი ხათუნა ნიკოლაძე,

კომისიის სიითი შემადგენლობა: 11 წევრი.
კვორუმი: 6 წევრი.
დამსწრე კომისიის წევრთა რაოდენობა: 7 წევრი.

<u>კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად'</u>

სხდომის თავმჯდომარემ **ბიძინა ბუცხრიკიძემ** კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-28232995, 26.10.2023 წ.).

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

2. კომისიის თავმჯდომარის განცხადება შვებულებაში გასვლის თაობაზე;

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 7, წინააღმდეგი-არცერთი;

<u>დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.</u>

<u>კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.</u>

1.მოისმინეს: მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დადგენილებაში ცვლილება გამოიწვია თანამდებობრივი რანგირებების გადანაცვლებამ შესაბამის სამსახურებში, კერძოდ: მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტოს სამსახურისა და განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ გაწეული სამუშაოებისა და სამუშაოს აღწერილობათა ანალიზის საფუძველზე , სამსახურის ფუნქციებიდან და შესასრულებელი დავალებებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის N14 დადგენლებაში:

1.სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილების მე-4 რანგის პირველი კატეგორიის უნცროსი სპეცილისტის ვაკანტური პოზიცია დაკორექტირდეს, გარდაიქმნას მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის პოზიციად და გადატანილი იქნას საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საფინანსო-სახაზინო განყოფილებაში.

2. იურიდიული სამსახურის მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტური პოზიცია დაკორექტირდეს, გარდაიქმნას მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის პოზიციად და გადატანილი იქნას განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურში.

აზრი გამოთქვეს:
ნატალია ასათიანმა; ჯემალ ისაკაძემ;

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 7, წინააღმდეგი-არცერთი;

გადაწყვიტეს:

მუხლი 1. უნდა დამტკიცდეს დადგენილების პროექტი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მუხლი 2. საკრებულოს დადგენილების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს და სხდომას დასამტკიცებლად.

2.მოისმინეს: მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას გააცნო განცხადება შვებულებაში გასვლის თაობაზე.მისი არყოფნის პერიოდში მის მოვალეობას შესასრულებს კომისიის წევრი ეკა ბერძენიშვილი.

აზრი გამოთქვეს: აზრი არავის გამოუთქვამს;

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 7, წინააღმდეგი-არცერთი;

გადაწყვიტეს: გაშვებულ იქნას კომისიის თავმჯდომარე შვებულებაში ა/წ 3 ნოემბრიდან 19 სამუშაო დღით, მისი მოვალეობა დაეკისროს ეკა ბერძენიშვილს.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე: